პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

პარასკევი
27 სექტემბერი
1940 წ.
№ 225 (5926)
ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

„Коммунисти" ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გავაუმჯობესოთ რაიონული გაზეთებისადმი ხელმძღვანელობა

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მიერ მიღებული კომუნიზმის მშენებლობის სტალინური პროგრამის განხორციელებაში ჩვენს გაზეთებს — დიდებსა და მცირეებს — საპატიო ადგილი ეკუთვნით. ბეჭდვითი სიტყვა მოწოდებულია დახმარება გაუწიოს პარტიას მთელ მის გიგანტურ აღმშენებლობით, შემოქმედებითი მუშაობაში. ამხანაგ სტალინის განსაზღვრით, როგორც პარტიის ყველაზე უფრო ძლიერი და ყველაზე უფრო ბასრი იარაღი, ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვა უდიდეს როლს თამაშობს მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში.

„მსოფლიოში არ არის არცერთი ქვეყანა,—სწერდა რამდენიმე წლის წინათ ამხ. მ. ი. კალინინი, — სადაც ბეჭდვითი სიტყვის როლი ისე სწრაფად იზრდებოდეს, როგორც ჩვენში. და ეს ბუნებრივია — წერა-კითხვის მცოდნეობის, კულტურის ზრდა, საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყველა სფეროში კოლექტიურობა მოსახლეობაში უფროდაუფრო დიდ მოთხოვნილებას იწვევს პრესისადმი".

ჩვენი ქვეყნის მრავალ ბეჭდვით ორგანოთა შორის პირველი ადგილი რიცხვობრივად რაიონულ გაზეთებს უჭირავთ. 1929 წელს ჩვენს ქვეყანაში გამოდიოდა 309 რაიონული გაზეთი, 800 ათასამდე ეგზემპლარის ცალობრივი ტირაჟით, ამჟამად კი მათი რაოდენობა 3500-ს სჭარბობს, 10 მილიონამდე ეგზემპლარის ტირაჟით: ასეთ დიდ ძალად გაიზარდა რაიონული ბეჭდვითი სიტყვა სტალინური ხუთწლედების მანძილზე. მრავალმილიონიანი ტირაჟის მქონე რაიონულ ბეჭდვით სიტყვას საშუალება აქვს კონკრეტული მაგალითებით ასწავლოს, პოლიტიკურად აღზარდოს მასები, დარაზმოს ისინი კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა გადასაჭრელად. გაზეთი რაიონში ეს ერთ-ერთი ამძრავი ღვედია, რომელიც ბოლშევიკურ პარტიას აკავშირებს მრავალმილიონიან მშრომელ მასებთან, აგროვებს სოციალისტური მშენებლობის გამოცდილებას, ავრცელებს მასებში საკ. კ. პ. (ბ) იდეებს და ლოზუნგებს, ამჭიდროვებს მასებს ლენინ-სტალინის პარტიის ირგვლივ. რაიონული გაზეთი უნდა წარმოადგენდეს პარტიული პროპაგანდის საიმედო და ძლიერ იარაღს, იარაღს, რომლის მოხერხებულ გამოყენებაზე დამოკიდებულია რაიონის ეკონომიკის, კულტურული მშენებლობის, საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი ხელმძღვანელობის წარმატება.

მაგრამ ბევრ რაიონში გაზეთს ჯერ კიდევ შესაფერისი ადგილი არ უჭირავს პარტორგანიზაციის საქმიანობაში, არ ასრულებს მასზე დაკისრებულ როლს. რაიონული გაზეთები არ იყენებენ იმ განსაკუთრებულ შესაძლებლობებს, რომლებსაც მათ აძლევს პარტია. ისინი ხშირად მოწყვეტილი არიან კოლმეურნეობებისა და ადგილობრივი სამრეწველო საწარმოებისაგან, არ ეყრდნობიან კოლმეურნეების, მუშებისა და სოფლის ინტელიგენციის მრავალმილიონიან აქტივს. ნაცვლად იმისა, რომ დაფიქრდნენ იზიდვაზე გაზეთში მონაწილეობისათვის ფართო აქტივს, ბევრი გაზეთი თითქმის მთლიანად ივსება მისი შტატის მუშაკთა წერილებით და შენიშვნებით.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაჰგმო ეს მავნე, უვარგისი პრაქტიკა. რაიონული გაზეთი ძირითადად უნდა შენდებოდეს მუშებისა და სოფლის კორესპონდენტების მასალებზე, სისტემატურად უნდა აქვეყნებდეს მშრომელთა წერილებს. შტატის თანამშრომელთა ამოცანაა მიიზიდონ რედაქციის გარეშე ავტორები, აღზარდონ და გამოზარდონ გაზეთის აქტივისტები. ამჟამად ლიკვიდირებულია რაიონული გაზეთების შტატის მუშაკთათვის ჰონორარის ანაზღაურების სისტემა და მცირდება რედაქციების აპარატი. 1 სექტემბრიდან რაიონული გაზეთის მუშაკებისათვის დაწესებულია ხელფასის ახალი განაკვეთები. ეს ზომები, ისე როგორც საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიერ მიღებული მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი, მიმართულია ჩვენი რაიონული გაზეთების ხარისხის გაუმჯობესებისაკენ, მათი ავტორიტეტის, მათი როლის ამაღლებისაკენ რაიონის ცხოვრებაში.

ბევრი პარტიული ხელმძღვანელი, მიუხედავათ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის არაერთგზის მითითებისა, როგორც საჭიროა ისე არ კიდებს ხელს თავის გაზეთებს, არ იყენებს მათ როგორც თავის მებრძოლ თანამშრომელს, როგორც პარტიული აგიტაციის ტრიბუნას, როგორც საშუალებას ბოლშევიკური აღზრდისა და მასების მობილიზაციისათვის სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადასაჭრელად. აი რას სწერს „პრავდაში" ამხ. გ. მაჭიმოვი კუიბიშევის ოლქის ნოვო-მალიკლინსკის რაიონიდან:

„პარტიის რაიკომი (მდივანი ამხ. დერიუშევი) სათანადოდ ვერ აფასებს ბეჭდვითი სიტყვის როლს, საჭიროდ არ სთვლის ხელი მოჰკიდოს გაზეთს. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ რაიონული გაზეთი ვერ ასრულებს რაიონული პრესის წინაშე პარტიის მიერ დასმულ ამოცანებს. გაზეთი გამოდის მოსაწყენი, ინტერესმოკლებული, გრამატიკული შეცდომებით. რაიონული პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ წერილები თავსდება შემთხვევიდან შემთხვევამდე. მუშკორების წერილების მიღება დღითიდღე მცირდება... პარტიის რაიკომის მუშაკები სრულიად არ ეხმარებიან რედაქციას მუშაობაში, არ მონაწილეობენ გაზეთში".

რაიკომის ასეთი დამოკიდებულება თავისი გაზეთისადმი არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს. როგორც სჩანს, ამხანაგებს საკ. კ. პ. (ბ) ნოვო-მალიკლინსკის რაიონიდან არ ესმით, რომ, უგულებელყოფენ რა გაზეთს, ისინი ხელიდან უშვებენ პარტიის მიერ მათთვის მიცემულ საბრძოლო იარაღს, რომლის მოხერხებული გამოყენებით შესაძლო იყო ძლიერ ბევრი რამის მიღწევა.

გაზეთის პირველ და ყველაზე უფრო აქტიურ თანამშრომლებად უნდა იყვნენ კომუნისტები და განსაკუთრებით რაიონის პარტიული ხელმძღვანელები. რაიკომების ზოგიერთი მდივნები რაიონული გაზეთების რედაქციების საქმიანობის განხილვის დროს დაინტერესებულნი არიან მხოლოდ სამეურნეო საკითხების ვიწრო წრით: საუბრობენ რედაქციის შტატების, ხარჯთაღრიცხვის, თანამშრომელთა ბინების შესახებ. ყოველივე ეს საჭირო და მნიშვნელოვანი საგნებია. მაგრამ მთავარი ხომ გაზეთის შინაარსი, მისი მიმართულება, მისი იდეურ-პოლიტიკური დონეა. და განა ბევრ რაიკომს მიაჩნია საჭიროდ სპეციალურად განიხილოს თავისი გაზეთის გეგმები, მისი ცალკეული გამოსვლები, ცალკეული წერილები? საშუხაროდ, ცოტას, და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც გაზეთი აშკარა შეცდომებს უშვებს.

რაიკომების მდივნებს არ შეუძლიათ სწორად უხელმძღვანელონ პარტორგანიზაციებს, თუ ისინი ყოველდღიურად თვალყურს არ ადევნებენ ბეჭდვით სიტყვას, არ არიან დაინტერესებული გაზეთის მუშაობით, მისი ავტორთა აქტივით. გაზეთი რაიკომის ორგანოა. რაიკომისათვის არ არის სულერთი თუ ვის ეყრდნობა რედაქცია, ვისთან არის იგი დაკავშირებული, რა მეთოდებით აყალიბებს მასალებს.

რაიონულ კომიტეტებს უნდა ახსოვდეთ, რომ რაიკომიდან მოწყვეტილი და თავმოწონებული გაზეთი ფაქტიურად აღარ არის რაიკომის ორგანო და — რაც კიდევ უარესია — ზოგჯერ უპირისპირდება რაიკომს და რაისაბჭოს, დგება რა უპასუხისმგებლო „გამომმჟღავნებელის" პოზაში.

რაიონული გაზეთის ძირითად ამოცანას წარმოადგენს მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდა მიმდინარე პოლიტიკის და პარტიისა და მთავრობის ღონისძიებათა საფუძველზე, პროპაგანდის საფუძველზე, რომელიც ეყრდნობა კონკრეტულ ახლობელ და გასაგებ ფაქტებს, ადგილობრივი პრაქტიკიდან კოლმეურნეობებისა და ადგილობრივი ორგანიზაციების ცხოვრებიდან. მოწინავე ადამიანების მუშაობის მაგალითებზე გაზეთი უნდა ზრდიდეს მშრომელებს შრომისადმი და საზოგადოებრივი მეურნეობისადმი პატიოსანი დამოკიდებულების სულისკვეთებით.

რაიონულ გაზეთს უნდა ჰქონდეს თავისი მკვეთრად გამოხატული სახე. რომელიც გამოსახავს რაიონის საწარმოო თავისებურებებს და ეკონომიკას. ჩვენში ბევრია გაზეთი, რომლებითაც შეუძლებელია გაიგო თუ რომელ რაიონში გამოდის ისინი: ინდუსტრიულ თუ სამიწათმოქმედო, მარცვლეულის თუ მესაქონლეობის, მებამბეობის თუ მეცხოველეობის რაიონში. საჭიროა, რომ გაზეთში მეტწილად მოთავსებული იყოს წერილები და კორესპონდენციები ადგილობრივ თემებზე, რომ მასში მონაწილეობისათვის ფართოდ იყვნენ მიზიდული ხელმძღვანელი რაიონული მუშაკები და სპეციალისტები. გაზეთების რედაქციებთან საჭიროა სისტემატურად იწვევდნენ მოწინავე ადამიანების თათბირებს სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკული საკითხების განსახილველად.

ჩვენი რაიონების ეკონომიკა და კულტურა უკანასკნელი წლების განმავლობაში ბევრად გაიზარდა. სოფლის მკითხველს სჭირდება ცოდნის შემცველი გაზეთი, რომელიც უპასუხებს მის გაზრდილ პოლიტიკურ, კულტურულ მოთხოვნილებას.

გაზეთში მონაწილეობისათვის უნდა მიიზიდონ იქნენ მასწავლებლები, აგრონომები, ექიმები, სოფლის აქტივი, რათა გაამდიდრონ იგი მასალებით სოფლის ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე — ცოდნით შედგენილი, შინაარსიანი, საინტერესო მასალით. ბევრი გაზეთის დაბალი კულტურული დონე, ენის სიღარიბე და უფერულობა, მრავალი შეცდომა — დაუშვებელია. რაიონული პრესის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს გაზეთის კულტურის ამაღლება, მისი ენის და ტექნიკური გაფორმების გაუმჯობესება.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა რაიკომებისა და ქალაქკომების პირველ მდივნებს დაავალა **პირადად** უხელმძღვანელონ გაზეთებს და მიმართონ მათი მუშაობა, თვალყური ადევნონ მათს შინაარსს, უზრუნველჰყონ პოლიტიკურად და კულტურულად მომზადებული მუშაკების შერჩევა. საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურმა პარტიულმა ორგანოებმა უნდა გააუმჯობესონ რაიონული გაზეთებისადმი იდეურ-პოლიტიკური ხელმძღვანელობა: სისტემატურად განიხილონ რაიონული ბეჭდვითი სიტყვის მუშაობის საკითხები, მოისმინონ რედაქტორებისა და პარტიული ხელმძღვანელების ანგარიშები. ამა თუ იმ ორგანიზაციის შემოწმების დროს ზედმიწევნით უნდა გაეცნონ გაზეთებსაც, შეამოწმონ თუ როგორ იყენებენ გაზეთებს პარტიული ორგანოები რაიონისადმი ხელმძღვანელობისათვის, ბოლშევიკური პარტიის ამოცანათა განხორციელებისათვის.

ყველა ეს ღონისძიება მოწოდებულია ამაღლოს ჩვენი რაიონული გაზეთების ხარისხი, თვითეული რაიონული გაზეთი გახადოს პარტიის მებრძოლ თანაშემწედ, რომელიც რაზმავს მშრომელ მასებს კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

„პრავდის" მოწინავე, 24/IX

დამთავრდა თათბირი სოფლის სკოლის მუშაობის შესახებ

25 სექტემბერს დაიხურა თათბირი სოფლის სკოლის მუშაობის შესახებ, თათბირი მოწვეული იყო რსფსრ განსახკომის სკოლების სახელმწიფო სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტის მიერ. თათბირმა კონკრეტული ღონისძიებანი დასახა საბოლოო - სამეურნეო შრომისათვის მოსწავლეთა მოსამზადებლად.

თათბირის გადაწყვეტილებებში აღნიშნულია, რომ, ლაბორატორიულ მუშაობასთან ერთად, უნდა მიმდინარეობდეს პრაქტიკული მეცადინეობა სკოლის სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე, ჭოხ-ლაბორატორიის ნაკვეთზე და მოწაფის კარმიდამოზე.

თათბირმა მიიღო სოფლის სკოლაში პრაქტიკული მეცადინეობის სანიმუშო პროგრამა. მაგალითად, გეოგრაფიის კურსის გავლისას მოწაფეები სისტემატურად ადევნებენ თვალყურს ამინდს, ადგენენ მეტეოროლოგიურ ცნობებს, სწავლობენ საკოლმეურნეო წყალსატევთა და პატარა მდინარეების რეჟიმს. უფროს კლასში მოსწავლენი საკოლმეურნეო მიწებისა და სავარგულების სქემატური რუკების შედგენაზე იმუშავებენ.

თათბირის მონაწილეებმა დასვეს საკითხი იმის შესახებ, რომ სოფლის სკოლას მიამაგრონ 1,5 ჰექტარი სასკოლო ნაკვეთი. ეს ნაკვეთი პრაქტიკული მეცადინეობის აგრობიოლოგიურ ლაბორატორიად უნდა გადაიქცეს. სოფლის მეურნეობის დარგში პროგრამის გავლისათვის თათბირს მიზანშეწონილად მიაჩნია კვირაში ორი საათი გამოყოს იმ საათების გარდა, რომლებიც დათმობილი აქვს ბიოლოგიას.

საჭიროდ სცნეს პედაგოგიურ და სამასწავლებლო ინსტიტუტთა სასწავლო გეგმაში შეტანილ იქნას სპეციალური კურსი „სოფლის მეურნეობის საფუძვლები". ამასთანავე მოეწყობა სემინარები სოფლის სკოლების მასწავლებელთათვის, სოფლის მეურნეობის დარგში სკოლების ნამუშავარის საოლქო და სარაიონთაშორისო გამოფენები.

თათბირმა დაადგინა ყველა სკოლას და ნორჩ ნატურალისტთა სადგურებს მიჰმართოს მოწოდებით გააძლიერონ 1941 წლის სრულიადსაკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენისათვის მზადება. (საქდესი).

გაიხსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამსვლელი სესია

სოხუმი, 26 სექტემბერი (საქდესი). დღეს, საღამოს, სახელმწიფო თეატრში გაიხსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამსვლელი სესია. თეატრის დარბაზი გაჭედილია ხალხით. აქ არიან თბილისისა და აფხაზეთის პროფესორები და მეცნიერი მუშაკები, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები. სესიის პრეზიდიუმში არიან პროფესორები და მეცნიერი მუშაკები ჩიქობავა, ჯანაშია, ზავრიევი, ბიუსი, ვეკუა, ტივაძე, აფხაზი პოეტი დომბრი გულია, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დელბა, აფხაზეთის აკადემიკოს ნ. ი. მარის სახელობის სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტის დირექტორი ჩოჩუა, საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ჯიქია და სხვები.

გახსნა რა სესია, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის თავმჯდომარე აკადემიკოსი მუსხელიშვილი მიესალმა აფხაზეთის საზოგადოებრიობას და აღნიშნა, რომ სესია ხელს შეუწყობს თბილისისა და აფხაზეთის სამეცნიერო ძალების საქმიანი კავშირის შემდგომს განმტკიცებას. სესიამ საპატიო პრეზიდიუმში აირჩია საკ. კ. პ. (ბ) პოლიტბიუროს შემადგენლობა დიდი **სტალინის** მეთაურობით, აგრეთვე ამხანაგები **კ. ნ. ჩარკვიანი** და **ვ. მ. ბაქრაძე.** შეკრებილნი ტაშის გრიალით შეეგებნენ წინადადებას იმის შესახებ, რომ მისალმება გაეგზავნოს მოწინავე მეცნიერების საუკეთესო მეგობარს და სულისჩამდგმელს ამხანაგ **სტალინს** და ქართველი ხალხის ერთგულ შვილს **ლავრენტი ბერიას,** აგრეთვე ამხ. **ჩარკვიანს.**

შემდეგ სესიამ მოისმინა საანგარიშო - სამეთხილვო მოხსენება აფხაზეთის სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტის მუშაობის შესახებ. მოხსენება გააკეთა ამავე ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა ამხ. ა. მელეხოვმა. მოხსენება თემაზე „აფხაზური და ქართველური ენების მორფოლოგიური დამთხვევა" გააკეთა პროფესორმა არნოლდ ჩიქობავამ.

სხდომის შემდეგ გაიმართა კონცერტი.

სსრ კავშირის XII საჭადრაკო ჩემპიონატი

XV ტური

25 სექტემბერს XV ტურში ტურნირის ლიდერმა სმისლოვმა წააგო მაკოგონოვთან, ხოლო გროსმაისტერმა ლევენფიშმა — ბელორუსიის ჩემპიონ ვერესოვთან. კონსტანტინოპოლსკიმ რუდაკოვსკის მოუგო. პანოვ - ფუძინინის პარტია ყაიმით დამთავრდა.

გადადებულია სტოლბერგ — ლისიცინის, რაგოზინ — პეტროვის, კერეს — ბოლესლავსკის, კოტოვ—ბონდარევსკის, მიკენას — ბოტვინიკის, გერსტენფელდ — ლილიენტალის პარტიები. (საკდესი).

245 მილიონი ციტრუსოვანთა ნაყოფი

ბათუმი, (საქდესი). აჭარის ასსრ რესპუბლიკის ციტრუსოვანთა პლანტაციებში წელს 245 მილიონი მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი უნდა მოიკრიფოს. 20 ოქტომბრიდან დაიწყება მანდარინის შერჩევით კრეფა.

ოქტომბრის ზეიმისათვის მოსკოვში, ლენინგრადში და ბალტიის პირა ახალი მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მშრომელთათვის 10 მილიონამდე მანდარინი გაიგზავნება.

მანდარინის უხვი მოსავალია ახალშენის საბჭოთა მეურნეობაში. აქ ხშირია ისეთი ხეები, რომლებსაც 4-5 ათასი ცალი მანდარინი ასხია. ეს მეურნეობა წელს სახელმწიფოს 19 მილიონ ციტრუსოვანთა ნაყოფს ჩააბარებს. ციტრუსების კარგი მოსავალია აგრეთვე გონიოს, ჩაქვის და მახინჯაურის საბჭოთა მეურნეობებში.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაცხოველებული მზადებაა ციტრუსების მოსავლის აღებისათვის. მიმდინარეობს მკრეფავთა გადამზადება, ტარა-მასალის მომარაგება, გადასაზიდ საშუალებათა და პავილიონების მოწესრიგება.

ციტრუსოვანთა დახარისხება ძირითადად მექანიზებული წესით იწარმოებს. ყველა პავილიონი უზრუნველყოფილია მექანიზებული დამხარისხებელი მანქანებით.

ციტრუსოვანთა გადასამუშავებლად გაცხოველებით ემზადება ხუცუბნის პავილიონი (ქობულეთის რაიონი). აქ იმუშავებს 4 დამხარისხებელი მანქანა. ეს მანქანები ყოველდღიურად 900.000-მდე ნაყოფს დაახარისხებენ. 2 მანქანა უკვე დადგმულია, ხოლო 2 მანქანის დადგმა-წყობა ამ დღეებში დამთავრდება.

გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ

ხაშური, (საქდესი). ხაშურის რაიონში არასოდეს ისე ორგანიზებული არ ყოფილა შაქრის ჭარხლის ამოღება-გადაზიდვა, როგორც წელს. პირველ სამ დღეშივე კოლმეურნეობებმა გეგმები გადამეტებით შეასრულეს. 5000 ცენტნერის ნაცვლად ჩაბარებულია 8000 ცენტნერი ჭარხალი. მოწინავე კოლმეურნეობები სოფ. ზემო-ოსიაურისა, ახალსოფლისა, სურამისა და სხვ. ამოღებულ ჭარხალს იმავე დღეს ასუფთავებენ და აბარებენ მიმღებ პუნქტებს.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს აქვს ადგილი. სოფელ ცხრამუხის კოლმეურნეობაში 20 სექტემბერს მანქანამ იმდენი ჭარხალი ამოიღო, რომ კოლმეურნეებმა მისი გასუფთავება მეორე დღემდე ძლივს შესძლეს. სოფ. გუდის კოლმეურნეობაში ამოღებული შაქრის ჭარხლის მეთვალყურეობა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს არჩილ გრიგოლაშვილს დაავალეს. 23 სექტემბერს გრიგოლაშვილს მინდორში ეძინა, ჭარხალს კი საქონელი სჭამდა.

უკანასკნელი ცნობები

გიბრალტარის ბომბარდირება

ლონდონი, 26 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, გუშინ საფრანგეთის დიდძალი თვითმფრინავები ორსაათნახევრის განმავლობაში კვლავ უშენდნენ ყუმბარებს გიბრალტარს. მათ ქალაქს სამასზე მეტი ყუმბარა დააყარეს, ფიქრობენ, რომ თავდასხმაში მონაწილეობას იღებდა საფრანგეთის ასზე მეტი ყუმბარმშენი. ყუმბარების უმეტესი ნაწილი ზღვაში და კლდეებზე ვარდებოდა, მაგრამ ბევრი ყუმბარა მოხვდა ნავგებობებს, გზებსა და სიმაგრეთა ძველ ხაზს. მნიშვნელოვნად დაზიანდა კერძო და სახელმწიფო საწარმოები. სამხედრო ნავებობანი ოდნავ დაზარალდნენ. ერთი ყუმბარა მოხვდა პატარა გემს, რომელიც მყისვე ჩაიძირა. არის მსხვერპლი.

ჩინეთის პროვესი საფრანგეთ-იაპონიის შეთანხმების წინააღმდეგ

ვიში, 26 სექტემბერი (საკდესი). 24 სექტემბერს განცხადებული სტატიერი პროტესტის გარდა, 25 სექტემბერს ჩინეთის ელჩმა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში წერილობითი პროტესტი გაგზავნა საფრანგეთსა და იაპონიას შორის დადებული შეთანხმების წინააღმდეგ. ვიშის ჩინელთა წრეებში ამტკიცებენ, რომ ეს ხელშეკრულება გაცილებით უფრო მტად არის მომართული თვით საფრანგეთის ინტერესების წინააღმდეგ, ვიდრე ჩინეთის წინააღმდეგ, ამიტომ რომ ამ შეთანხმების დადების დროს იაპონიასთან ჩინეთთან ომის საკითხი მეორეხარისხოვანი იყო. როგორც აქ აღნიშნავენ, ინდო-ჩინეთის ტერიტორიიდან ძალიან ძნელია საომარი მოქმედების დაწყება ჩინეთის იმ პროვინციებთან, რომლებიც ინდო-ჩინეთს ესაზღვრებიან. საეჭვოა აგრეთვე, შესრულებულ იქნება თუ არა იაპონიის სარდლობის წარმომადგენლის დაპირება ომის დამთავრების შემდეგ ინდო-ჩინეთის ტერიტორიის განთავისუფლების შესახებ.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოში

ბ. წ. 20 სექტემბერს შესდგა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სხდომა.

სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა: კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან, სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე, მოეწყოს სოკოსა და მწვრილფეხა მერქნის დაშლის წინააღმდეგ მებრძოლი კანტორა.

ეს კანტორა შეასრულებს სამუშაოს მერქნის დაშლის წინააღმდეგ ბრძოლის დარგში, ცალკე დავალებათა მიხედვით განახორციელებს ტექნიკურ ზედამხედველობას ცალკეულ საწარმოებში, ახალშენებსა და დიდს შენობებში.

კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს დაევალა დაამტკიცოს მერქნის ლპობის წინააღმდეგ მებრძოლი კანტორის წესდება.

○

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ დაამტკიცა საქართველოს სსრ სამონადირო მეურნეობის დებულება.

დებულების თანახმად, ნადირობის წესების დადგენილი წესების ან დებულების საფუძველზე გამოცემული წესებისა და ვადების დარღვევა, აგრეთვე უკანონო ნადირობით მიღებული პროდუქციის გაყიდვა, გადაზიდვა და შენახვა იწვევს ადმინისტრაციულ სასჯელს — ჯარიმას 300 მანეთამდე ან სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 89 მუხ. 1 ნაწ. და 108 მუხლის მიხედვით.

გამოუსვლელი და მოსაპოვებლად აკრძალული ბეწვეულისა და უკანონო ნადირობით მიღებული სხვა პროდუქციის შესყიდვისათვის დამამზადებელი ორგანიზაციებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა შესაბამისად სსრ ჯავშრის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 9 მაისის დადგენილებისა „ბეწვიან ნადირზე უკანონო ნადირობისა და სხვა სახის უკანონო ნადირობისათვის ჯარიმის გადახდევინების შესახებ".

დაჯარიმება ხდება საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სამონადირო სარეწის სახელმწიფო ინსპექციის უფროსის მიერ.

○

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ გამოიტანა გადაწყვეტილება სახარბიტრაჟის ქუთაისის განყოფილების გაუქმების შესახებ. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სახარბიტრაჟის შტატში შეიყვანილია ერთი უფროსი კონსულტანტი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ დაწესებულებათა, საწარმოთა და განსაზოგადოებული სექტორის ორგანიზაციათა შორის დავის განსახილველად.

○

სახკომსაბჭომ განიხილა საკითხი ქ. თბილისში სარეწაო საბჭოს სისტემის ხაზით მომხმარებლებისათვის ჭურჭლის ქარხნის აშენების შესახებ.

სარეწაო საბჭოს პრეზიდიუმის არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობის შედეგად ქარხნის მშენებლობა ჩაშლილია.

სახკომსაბჭომ დაავალა საქართველოს სსრ პროკურორს სასამართლო პასუხისგებაში მისცეს ქარხნის დამპროექტებელნი და მშენებლები, რომლებმაც სერიოზული დეფექტები დაუშვეს ქარხნის მშენებლობაში და ეს მშენებლობა ჩაშლამდე მიიყვანეს.

სარეწაო საბჭოს, პრეზიდიუმს წინადადება მიეცა შეუდგეს ქ. თბილისის (ღრმა ღელე) მომხმარებლებისათვის ჭურჭლის ახალი ქარხნის დაპროექტებას.

○

სახკომსაბჭომ დაადგინა: იმასთან დაკავშირებით, რომ საქსავთის მოთხოვნილება ნავთის მრეწველობის ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებზე სულ უფრო ინტენსიურად ხდება, დაარსდეს თბილისის ნავთის ტექნიკუმი სპეციალობით „ნავთის ჭაბურღილთა ბურღვა და ექსპლოატაცია" თბილისის სამეურნეო მუშაკთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის ბაზაზე, რომელიც უქმდება. ტექნიკუმის კონტინგენტი განსაზღვრულია 90 კაცის რაოდენობით.

○

სახკომსაბჭომ წინადადება მისცა საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ სამშენებლო მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს მოაწყოს „საფიქალის" საწარმოსთან საფილაქნე ფიქალის საამქრო (საქდესი).

საქალაქო თათბირი აგიტაციის საკითხებზე

გუშინ, 26 სექტემბერს, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტში შესდგა თბილისის აგიტატორთა საქალაქო თათბირი. თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ს. გუჯაბიძემ. როგორც ამხ. ს. გუჯაბიძემ განაცხადა თავის შესავალ სიტყვაში, აგიტატორთა საქალაქო თათბირის მოწვევის მთავარი მიზანი იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულებასთან დაკავშირებით სააგიტაციო მუშაობის დადებითი გამოცდილების განზოგადება, პრაქტიკული წინადადებების შეგროვება საagიტაციო მუშაობის ახლებურად გარდასაჭრელად.

თათბირზე თავიანთი გამოცდილება ურთიერთს გაუზიარეს აგიტატორებმა, რომლებმაც მთელი სიმკვეთრით დააყენეს საკითხი 26 ივნისის კანონთან დაკავშირებით საagიტაციო მუშაობის გარდაჭრის შესახებ. სიტყვით გამოსულთა უმრავლესობამ გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ საუბრები ეწყობოდეს მუშაობის დაწყებამდე 20—30 წუთით ადრე. ყოველ შემთხვევაში საუბრების ჩატარება დასვენების საათებში არ იძლევა საკმაო ეფექტს. ისინი ყურადღებას ამახვილებდნენ ინდივიდუალური აგიტაციის გაძლიერებაზე. აგიტატორი არ უნდა უცდიდეს, თუ როდის შეგროვდება მრავალრიცხოვანი აუდიტორია, არამედ ყოველ ცალკეულ შემხვედრაზე — კერძო საუბარში თუ მცირერიცხოვან ჯგუფთან—ეწეოდეს ნამდვილ, ბოლშევიკურ აგიტაციას. თათბირზე განსაკუთრებული მსჯელობის საგანი გახდა აგიტატორთა კადრების შერჩევისა და მათი მომზადების დონის ამაღლების საკითხი. აგიტატორები განსაკუთრებით მიუთითებდნენ იმ გარემოებაზე, რომ საჭიროა საagიტაციო მუშაობაში ფართოდ იქნას გამოყენებული ფაქტები და მასალები ადგილობრივი ცხოვრებიდან, ვინაიდან ეს ყველაზე უფრო ახლობელია მოცემული წარმოების მუშა-მოსამსახურეებისათვის. თათბირზე განსაკუთრებული მსჯელობის საგანი გახდა დიასახლისებთან აგიტაციის წარმოების ფორმები და მეთოდები. აგიტატორებმა ამ თათბირზე წამოაყენეს მთელი რიგი საკითხები, რომელთა დამუშავება მოგვცემს ძვირფას მასალას საagიტაციო მუშაობის გარდასაქმნელად.

თათბირზე სიტყვებით გამოვიდნენ ბირობიჯანი (ლ. პ. ბერიას სახ. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო), არველაძე (სამკერვალო ფაბრიკა № 1), გალუსტიანი (მაუდის ფაბრიკა), დავითაშვილი (სერგო ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებლობის ქარხანა), ხომერიკი (პურის ქარხანა № 2), არაქელოვი (ხორცკომბინატი), ვორობიოვი (პურის ქარხანა № 2), არუთინოვი (სამკერვალო ფაბრიკა № 6) და სხვ.

ჩაის მწვანე ფოთლის დამზადება

„საქჩაის" 25 სექტემბრის ცნობებით

რაიონები	წლიური გეგმა ტონობით	მიწერილია სეზონის დაწყებიდან ტონობით	სექტემბერში მიწერილი ტონობით	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	სექტემბრის გეგმის შესრულება პროცენტობით
ბათუმი	1.865	1.761,5	173,9	94,5	81,5
ჭობულეთი	8.556	7.724	845,4	90,3	84,8
გალი	4.017	3.205,5	292,6	79,8	59,6
ოჩამჩირე	2.344	1.748,7	116,4	74,6	44,1
სოხუმი	50	34,1	1,8	68,2	32,7
გუდაუთი	70	82,4	7,4	117,7	92,5
მახარაძე	11.174	10.249,1	1037,3	92,7	76,5
ჩოხატაური	1.475	1.321,4	132	89,6	74,6
ლანჩხუთი	3.660	3.193,9	388	87,3	70,2
სამტრედია	330	259,1	20,8	76,3	52
წულუკიძე	1.755	1.585,5	48,3	90,3	22,9
ქუთაისი	190	188,3	7,4	99,1	32,2
წყალტუბო	430	331,2	9,1	77	17,5
ტყიბული	620	620,3	43,2	100	58,4
ცხაკაია	1.230	1.024,4

სამრეწველო სანარმოებთან ბოსტნეულისა და მეცხოველეობის დამხმარე მეურნეობების მოწყობისათვის

თათბირი საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტში

25 სექტემბერს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტში ამხ. **ს. იშხანოვის** თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი, რომელიც მიძღვნილი იყო საკითხებზე, თუ რა მუშაობა ჩაატარეს თბილისის საწარმოებში გლეხობის მამხეთლის კომბინატის მუშათა, მუშა-ქალთა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა მოწოდების განხორციელებისა და საწარმოებისათვის ბოსტნეულისა და მეცხოველეობის დამხმარე მეურნეობებისათვის ნაკვეთების გამოყოფის შესახებ.

თათბირს დაესწრნენ: თბილისის საწარმოთა დირექტორები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების პირველი მდივნები და სამრეწველო საწარმოთა სახალხო კომისრები.

23, 24 და 25 სექტემბერს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტმა სამრეწველო საწარმოებში შეამოწმა, თუ რა მუშაობა სწარმოებს პრაქტიკულად დამხმარე მეურნეობათა მოსაწყობად. შემოწმების შედეგების შესახებ თათბირზე ინფორმაციით გამოვიდნენ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ინსტრუქტორები ამხ. ივანიშვილი და კიკნაძე.

მოსმენილი ინფორმაციების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. აბრამოვმა (26 კომისრის სახელობის ქარხნის დირექტორი), ამხ. ალექსანდროვმა („ზარია ვოსტოკას“ სტამბის დირექტორი), ამხ. რობაჩიძემ (ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა), ამხ. სირაძემ (სარძეო ქარხნის დირექტორი), ამხ. ავეტისოვმა (ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე), ამხ. სიმონიშვილმა (აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის დირექტორი), ამხ. ქართველიშვილმა (მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე), ამხ. ალ. უგრეხელიძემ (თბილისის შამპანური ქარხნის დირექტორი) და სხვ.

თათბირზე აღინიშნა, რომ მიუხედავად საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მრავალგზის გაფრთხილებისა, მთელ რიგ საწარმოებში დამხმარე მეურნეობათა მოსაწყობად ჯერ-ჯერობით მუშაობა საგრძნობლად მოისუსტებს. ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელი დაკმაყოფილდა მხოლოდ გეგმის დასახვით და პრაქტიკულად სათანადო მუშაობა ჯერ არ დაუწყია. მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებას პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებია დამხმარე მეურნეობების მოსაწყობად. თბილისის დეპოში ყველა საშუალება არსებობს ამ საქმის წინ წასაწევად, მაგრამ მუშაობა არ გაუშლიათ. ქიმკომბინატში ამ საქმეს უდარდელად ეკიდებიან. მაუდის ფაბრიკაში მარტო რამდენიმე ფრთა ქათმის შეძენით დაკმაყოფილდნენ, ასევე სუსტად მუშაობენ თბილისის კამოს სახელობის დაზგათმშენებლობის, კალინინის სახელობის ქარხნებში, აბრეშუმის საქსოვ, მაკარონის, ავეჯის ფაბრიკებში, სატრიკოტაჟო კომბინატში, სტამბა „ზარია ვოსტოკასა“, ფეხსაცმლის ფაბრიკა № 1, 3-ში და სხვ.

იქ, სადაც ღრმად გაითვალისწინეს დამხმარე მეურნეობათა მოწყობის სერიოზულობა, პირველი ნაბიჯები უკვე გადადგეს. ასე მაგალითად ხორცის კომბინატში, № 2 ტყავის ქარხანაში, საქსუპრტრესტში, № 7 სამკერავალო ფაბრიკაში და სხვ.

დამხმარე საწარმოებისათვის მიწების გამოყოფის შესახებ თათბირზე მოსმენილ იქნა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ი. კოჭლამაზაშვილის ინფორმაცია. მან თათბირს გააცნო აღმასკომის დადგენილება თბილისის საწარმოებისათვის დამხმარე მეურნეობათა მოწყობისათვის მიწის გამოყოფის შესახებ.

ამხ. კოჭლამაზაშვილმა დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ საწარმოები ერთი დეკადის განმავლობაში მიიღებენ მიწის ნაკვეთებს. საჭიროა სრულ წესრიგში მოიყვანონ მათ ეს ნაკვეთები და მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადაიტანონ მოსამზადებელ მუშაობაზე, კერძოდ გაზაფხულისათვის ნიადაგის მომზადებისა, თესლის შეძენისა და პირუტყვისათვის საკვებით უზრუნველყოფის საქმეზე. ამხ. კოჭლამაზაშვილმა ხაზი გაუსვა დამხმარე მეურნეობათა სწორად დაგეგმვის, კულტურათა სწორად განლაგების, აგროტექნიკურ და ზოოტექნიკურ ღონისძიებათა ურყევად დაცვერგვის საჭიროებას.

დასასრულ თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ს. იშხანოვი. მან კონკრეტული მაგალითებით დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მთელ რიგ საწარმოთა დირექტორებს სერიოზულად არ მოუკიდებიათ ხელი დამხმარე მეურნეობათა მოსაწყობად. საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მიერ ამ დღეებში ჩატარებულმა შემოწმებამ ცხადჰყო, რომ ბევრგან არ არის შესრულებული საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მითითება მიწის გამოყოფამდე საწარმოებთან შესაძლებლობის ფარგლებში ღორების შეძენისა და მათთვის შენობის აგების შესახებ. ზოგან გადადგეს პირველი ნაბიჯები, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. გლუხოველთა მოწოდებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. დამხმარე მეურნეობათა მოწყობა სერიოზულ როლს ითამაშებს თბილისის მშრომელთა მომარაგების შემდგომი გაუმჯობესების საქმეში,—აი რა უნდა იქნას მტკიცედ გათვალისწინებული საწარმოთა პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელების მიერ.

ამხ. იშხანოვმა ხაზი გაუსვა იმას, რომ სახალხო კომისარიატებისაგან საწარმოები საჭიროებენ ამ მხრივ მეტ ოპერატიულ ხელმძღვანელობასა და დახმარებას, რაც ურყევად უნდა იქნას განხორციელებული.

ამხ. იშხანოვმა თბილისის სამრეწველო საწარმოთა პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების საბრძოლო ამოცანად დასახა: გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა და პირველ რიგში შეიძინონ ღორები, გოჭები და უზრუნველჰყონ მათთვის შენობის აგება, რადგან ეს დიდ თანხებს არ მოითხოვს. ამთავითვე იზრუნონ გამოყოფილი ნაკვეთების სრულ წესრიგში მოყვანისათვის. გეგმიანად, მიზანშეწონილად გამოიყენონ შინასაქარხნო რესურსები და უკანასკნელ მანეთამდე აითვისონ მოკლე და გრძელვადიანი კრედიტები, რომლებსაც სახელმწიფო იძლევა დამხმარე მეურნეობების მოწყობისათვის.

პარტიულმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა დამხმარე მეურნეობებს სათავეში უნდა ჩაუყენონ ყოველმხრივ შემოწმებული, უნარიანი, საქმისათვის გულშემატკივარი ადამიანები. საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების, საწარმოთა პირველადი პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანაა ყოველმხრივი დახმარება და მტკიცე კონტროლი გაუწიონ საწარმოებთან მებოსტნეობისა და მეცხოველეობის დამხმარე მეურნეობათა მოწყობას და მაგრად მოჰკიდონ ხელი ამ მნიშვნელოვან საქმეს.

საქსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისისა და 10 ივლისის ბრძანებულებათა ბოლშევიკურად შესრულებისათვის

მოწინავე ბრიგადები და ალურიცხავი მოცდენები

ცოდნას და ენერგიას არ იშურავენ თბილისის საორთქლმავლო დეპოს მოწინავე ბრიგადები. ისინი თავდადებულად მუშაობენ, რათა სოციალისტურ ტრანსპორტს მისცენ მაღალხარისხოვნად შეკეთებული ორთქლმავლები. წარმატებებიც თვალსაჩინოა. აი, თუნდაც კომკავშირული ბრიგადა, რომელსაც ორდენოსანი შ. ხიზანაშვილი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ ივლისში გეგმის ზევით გარეცხა 10 ორთქლმავალი, — აგვისტოში კი—11. ბრიგადამ ვალდებულება აიღო საქ. ალკკ XV ყრილობის პატივსაცემად სექტემბერში გეგმის ზევით გარეცხოს 10 ორთქლმავალი. 23 სექტემბრისათვის გეგმის ზევით ბრიგადამ უკვე გამოუშვა 9 ორთქლმავალი — თვის ბოლომდე ბრიგადა კიდევ გარეცხავს 3 ორთქლმავალს.

დამახასიათებელია, რომ ამხ. ხიზანაშვილის ბრიგადა 26 ივნისის ბრძანებულების შემდეგ ყოველთვიურად ზრდის გეგმის შესრულების მაჩვენებლებს. ბრიგადის ყველაზე „ჩამორჩენილი“ წევრი ამხ. ალ. კერვალიშვილიც კი სწარმოო დავალებას 110 - 120 პროცენტით ასრულებს. საუცხოო მაჩვენებლებს იძლევიან ამხ. ვ. კიკნაძე, შ. ფხაკაძე, მ. კასრაძე და სხვ. ისინი დავალებას 270 - 300 პროცენტით ასრულებენ.

ასევე წარმატებით მუშაობენ ორდენოსანი ვ. მიხანაშვილის მეჩვაბეთა ბრიგადა და გამჩარხავი საამქროს კომკავშირული ბრიგადა ამხ. კ. სინჯიკაშვილის ხელმძღვანელობით. თვითეული მათგანი საწარმოო დავალებას 280-300 პროცენტით ასრულებს. მაგრამ ნიშანავს თუ არა ეს იმას, რომ ისინი 480 წუთს მაქსიმალური დატვირთვით იყენებენ? — არა. სიტყვა მივსცეთ თვითონ ბრიგადირს ამხ. ვ. მიხანაშვილს:

— ჩემს ბრიგადაში 10 კაცია. ერთი შეხედვით თითქოს ყველანი სრული დატვირთვით ვმუშაობთ, გეგმასაც გადაჭარბებით ვასრულებთ. მაგრამ თუ საქმის ნამდვილ შინაარსს ჩავწვდებით, აშკარა გახდება, რომ ბრიგადას ძალიან დიდი დრო ეკარგება უნაყოფოდ. ყველაფერი ეს ხდება უწინრად, ალრიცხვის გაჭიმვე. თვითონ ჩვენც არ შეგვიძლია ზუსტად ვთქვათ თუ რამდენი წუთი, საათი გვეკარგება. იშვიათი როდია შემთხვევა, როცა ჩვენ თვითონ გვიხდება მასალებისა და იარაღებისათვის სხვა საამქროებში სირბილი, ზოგჯერ „ჩხუბიც“ კი იმისათვის, რომ ორთქლმავლის ქვაბის ესა თუ ის ნაწილი, ანდა საჭირო იარაღი მივიღოთ. შემდეგ ღებელი საამქრო ხშირად აბრკოლებს ჩვენს მუშაობას. დროზე ირ გვაწვდის მოქლონებს, დასაკერებლებს, სპილენძის მილებს და სხვ. ეს ხომ თითქოს უბრალო ამბავია, მაგრამ იგი ხშირად 2-3 დღით აგვიანებს ორთქლმავლის მომდინარე შეკეთებიდან გამოშვებას. სწორედ ასეთი მიზეზების გამო ჩემი ბრიგადის მაღალკვალიფიციური მუშები ივ. სირანაშვილი, ი. დემეტრაშვილი, გ. ქვლივიძე, გ. ბერძენიშვილი და სხვები უბრალო, „შავ სამუშაოებს“ ასრულებენ ხოლმე. გარეშე კაცმა რომ გვკითხოს, თითქოს არ გვკმებით, მაგრამ ფაქტიურად ეს მოცდენაა. ჩვენ ხომ ამ დროს პირდაპირ მოვალეობას არ ვასრულებთ. სწორედ ამას შეიძლება ეწოდოს უჩინარი მოცდენები. რომ წინასწარ მომზადებული გვხვდებოდეს სამუშაო ადგილი, ყველა პირობა გვქონდეს სრული დატვირთვით მუშაობისათვის, ყოველთვიურად 15 ორთქლმავალს შევაკეთებთ“.

მდგომარეობა, რომელსაც ამხ. მიხანაშვილი გვიხატავს, მეტნაკლებად დამახასიათებელია სხვა ბრიგადებისათვისაც. მაგალითისათვის ავიღოთ ამხ. კ. სინჯიკაშვილის ბრიგადა. ივლისში ამ ბრიგადამ გეგმის ზევით საშუალო შეკეთებიდან 4 ორთქლმავალი გამოუშვა, აგვისტოში კი—მხოლოდ ერთი. ზოგი იფიქრებს: ბრიგადას ცუდად უმუშავნიაო, სრულიადაც არა, საქმე ისაა, რომ ბრიგადა არ დატვირთეს, საორთქლმავლო დეპოს ადმინისტრაციამ ვერ უზრუნველჰყო იგი სამუშაოთი.

ზოგჯერ ისიც ხდება, რომ ორთქლმავლის რომელიმე ნაწილს, მუშას ან ბრიგადას აძლევენ სამუშაო დღის დასასრულ. აუცილებელი ხდება ზედმეტ საათებში მუშაობა, რადგან ორთქლმავალი იმ დღეს უნდა გავიდეს დეპოდან. ასე მოხდა 23 სექტემბერსაც. ამხ. მ. კობერიძემ ორთქლმავლის ონკანი მუშაობის დამთავრებისას მიიღო, იგი იძულებული გახდა ზედმეტ საათებში ემუშავნა. როგორც ამბობენ ასეთი შემთხვევები ხშირია. ხოლო ასეთი ზედმეტ საათებში მუშაობა ყოველთვის შეიძლება ავიშოროთ თუ კი შრომის კარგი ორგანიზაცია გვექნება.

ვიმუშაოთ სრული დატვირთვით, მაქსიმალურად გამოვიყენოთ სამუშაო დღის 480 წუთი—ასეთია ამოცანა.

ა. შოლია
პ. ჭიოკაძე



თბილისის ტყავის № 1 ქარხნის ტყავის ერთერთი საუკეთესო გამტკეცავი ამხ. ნ. იმნაიშვილი, კომკავშირელი, ნორმას 230 პროცენტით ასრულებს.
ფოტო ბუდუშკისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ჭიათურის აბრეშუმკომბინატის საქსოვი საამქროს მე-3 კომპლექტის ქვეოსტატი, სტახანოველი ამხ. გ. ჯიმშელეიშვილი ამოწმებს საქსოვ დაზგებს.
ფოტო პ. ლუცენკოსი (საქდესის ფოტოქრონიკა).

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ავიაციის მოქმედება წარსული კვირის განმავლობაში

ბერლინი, 25 სექტემბერი (საკდესი). გაზეთი „ბერლინერ ბერზენციტუნგი“ წარსული კვირის საპაერო ომის შედეგებს აჯამებს და სწერს, რომ გერმანიის ავიაციის ძირითადი დარტყმა, ისევე როგორც წინათ, მიმართული იყო ლონდონის წინააღმდეგ. გარდა ამისა არაერთი ბომბარდირება განიცადა ლივერპულმა, რომელიც ამჟამად ძირითად როლს ასრულებს ინგლისის მომარაგებაში. ლივერპულია სიდიდით ინგლისის მეორე ნავსაყუდელია და ტერიტორიული მდებარეობის წყალობით დაცულია წყალქვეშა ნავებისა და სწრაფმავალი კატარღების მოქმედებისაგან. ბილინჰამში ბომბარდირებულია ქიმიური ქარხნები. საუტჰემპტონში გერმანიის ყუმბარმშენები თავს დაესხნენ საავიაციო ქარხნებს. გერმანიის ავიაციის თავდასხმა ინგლისის თიხქმის მთელ ტერიტორიაზე ხდებოდა. ყუმბარა დავაყარეთ პორტლენდის სამხედრო ნავსაყუდლებს, სადაც ძლიერ დაზიანდა ბენზინსაცავები და დაინგრა პორტლენდის კუნძულისა და კონტინენტის შემაერთებელი ჯებირი. ავიაციის იერიშები მიმართული იყო ლონდონის მიდამოებში მდებარე აეროდრომების წინააღმდეგაც.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელ დღეებში ლონდონის თავდაცვა მნიშვნელოვნად გაძლიერდა. მაგრამ, ამის მიუხედავად, გერმანიის ავიაცია თითქმის განუწყვეტლივ ესხმის თავს ქალაქს. მოსახლეობა მეტ წილად თავშესაფარში იმყოფება.

გერმანიის ავიაცია სისტემატურად ნაღმავს ინგლისის წყლებს. წარსულ კვირაში გერმანიის წყალქვეშა ნავებმა ჩასძირეს სავაჭრო გემები. რომელთა საერთო წყალწყვა 170 ათას სარეგისტრო ბრუტო-ტონას შეადგენს.

ბიულეტენი „დინსტ აუს დოიჩლანდი“ სწერს, რომ 10 აგვისტოდან დღემდე ინგლისში ჩამოყრილია 23 მილიონი კილოგრამი ყუმბარები. ამ ხნის განმავლობაში დაზიანებულია დაახლოებით 6 ათასი სამრეწველო საწარმო, აქედან მარტო ლონდონში — 1.400.

ინგლისის დიდ ქალაქებში მწყობრიდან გამოყვანილია გაზის ქარხნებისა და ელექტროსადგურების დაახლოებით 20 პროცენტი. ლონდონში დანგრეულია 4 ვაგზალი და დაზიანებულია მეტროპოლიტენის 3 ხაზი. საკვანძო პუნქტებში რკინიგზის ვაკისი დანგრეულია რამდენიმე ასეულ კილომეტრზე. „უნდა აღინიშნოს, — სწერს, დასასრულ, ბიულეტენი, — რომ გერმანიის ავიაციის თავდასხმა ჯერ კიდევ დაწყებითს სტადიაშია. უახლოეს დღეებში მოსალოდნელია უფრო გაძლიერებული მოქმედება“.

ინგლისის ავიაციის თავდასხმა ბერლინზე

ლონდონი, 25 სექტემბერი (საკდესი). ავიაციის სამინისტრო აუწყება, რომ 24 სექტემბერს ღამით ინგლისის ყუმბარმშენი ავიაციის დიდმა ძალებმა ახალი თავდასხმა მოაწყეს ბერლინზე. თავდასხმამ ორნახევარ საათზე მეტ ხანს გასტანა. მიუხედავად იმისა, რომ ბერლინის რაიონში განლაგებულმა საზენიტო არტილერიამ ინტენსიურად დაუშინა, ინგლისის თვითმფრინავებმა გათვალისწინებულ ობიექტებს მიაღწიეს და ყუმბარები დაუშინეს. ბომბარდირებულ იქნა „სიმენსისა და ჰალსკეს“ დიდი ქარხნები, რომლებიც გერმანიის არმიისათვის ამზადებენ მეტ წილ ელექტროტექნიკურ მოწყობილობას. ბომბარდირების შედეგად ამ ქარხნებში ორგან დიდი ხანძარი გაჩნდა. მალე ნაშუალამევს მეორე თავდასხმა მოეწყო ბერლინის სატრანსფორმატორო და ფრიდრიხფელდის განმანაწილებელ ელექტროსადგურზე, რომელიც ელექტროენერგიით ამარაგებს ქალაქის სამრეწველო საწარმოთა უმრავლესობას. ჩამოყრილ იქნა ათობით ფუთგასური ყუმბარა. ელექტროსადგურში აფეთქება მოხდა. ყუმბარა პირდაპირ მოხვდა ბერლინის ერთ-ერთ სამხრეთ-აღმოსავლეთ გარეუბანში მდებარე მეტალურგიული ქარხნის ბრძმედს. ქარხანაში ბევრგან დიდი ხანძარი გაჩნდა. დიდძალი ყუმბარა დავაყარეთ არხის ხიდს, რომელიც ბერლინის მთავარ აეროპორტ ტამპელჰოფის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს 2 მილის მანძილზე.

ინგლისის საესკადრო ნაღმოსნის ჩაძირვა

ბერლინი, 25 სექტემბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო აუწყება, რომ ტანეერის მახლობლად რომელიღაც სახელმწიფოს თვითმფრინავმა ინგლისის საესკადრო ნაღმოსანი ჩაასრირა.

აკრიტიკებენ ინგლისის მთავრობის პოლიტიკას უსახსრკარო მოსახლეობის მიმართ

ლონდონი, 25 სექტემბერი (საკდესი). 23 სექტემბერს ლონდონის პრესაში მოთავსებული იყო ინტერვიუ სენტ-პანკრასის (ლონდონი) ქალაქის საბჭოს წევრ ჰოლდეინთან (ცნობილი ინგლისელი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, პროფესორ ჰოლდეინის მეუღლესთან). ამ ინტერვიუში ჰოლდეინი მკაცრად აკრიტიკებს მთავრობის პოლიტიკას იმ მოსახლეობის მიმართ, რომელიც უსახლკაროდ დარჩა ლონდონზე საჰაერო თავდასხმის შედეგად. როგორც ჰოლდეინი აღნიშნავს, მას მოეპოვება იმის დამადასტურებელი ცნობები, რომ არცერთ თანამდებობრივ პირს, რომელსაც დავალებული აქვს დახმარება გაუწიოს დაზარალებულ მოსახლეობას, არ შეუძლია რაიმე დახმარება მისცეს დაზარალებულთ მანამდე, სანამ მათ არ დააბინავებს ადგილობრივი ხელისუფლება. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში უსახლკარო მოსახლეობა ორ დღეღამეს ათევს ცის ქვეშ თავშესაფარის მიღების მოლოდინში.

უოლტჰემსტოუში (ლონდონი) მუშების ნაწილმა მოთმინება დაჰკარგა მთავრობისაგან რაიმე დახმარების მიღების მოლოდინში, თითონ დაიკავა მეზობლად მდებარე 6 ცარიელი შენობა და გადაიყვანა თავიანთი ოჯახები დანგრეული სახლებიდან. ამ დაბინავებას ხელმძღვანელობდა მრჩეველი სმიტი, რომელიც ადგილობრივი ლეიბორისტებისა და კომუნისტების მხარდაჭერით სარგებლობს.

ინგლისის ნაოსნობის მინისტრის კროსის გამოსვლა

ლონდონი, 25 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ინგლისის ნაოსნობის მინისტრმა კროსმა სიტყვა წარმოსთქვა რადიოთი. მან შეაჯამა ომის პირველი წლის განმავლობაში ზღვაზე წარმოებული საომარი მოქმედების შედეგები. ამჟამად, — სთქვა კროსმა, — ინგლისის სავაჭრო ფლოტის ტონაჟი უფრო ძვირია, ვიდრე ომამდე იყო. იმის მიუხედავად, რომ მტრის წყალქვეშა ნავებს, შეიარაღებულ წყალზედა გემებსა და თვითმფრინავებს ინგლისის ნაოსნობის ტონაჟს, რაც მტრის მოქმედებამ გამოიწვია, ომამდელი ტონაჟის 8 პროცენტს შეადგენს. მაგრამ ეს დანაკლისი გადაჭარბებით აანაზღაურა მტრის გემების ხელში ჩაგდებამ, ახალი გემების აგებამ, აგრეთვე სხვა სახელმწიფოთა მიერ ინგლისის სავაჭრო ფლოტისათვის გემების გადმოცემამ.

მაგრამ ინგლისის ნაოსნობის ამოცანები, ომამდელ პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვნად შეიცვალა და გართულდა. თუ ომამდე ბევრი საქონელი ევროპის ქვეყნებიდან შემოდიოდა, ახლა ისინი გაცილებით უფრო შორეული ქვეყნებიდან შემოდის. წინათ ინგლისის გემები ხმელთაშუა ზღვით დადიოდნენ, ახლა კი ხმელთაშუა ზღვით დადიოდნენ, ახლა კი ხმელთაშუა ზღვით დადიოდნენ, ახლა კი

პარტიული ცხოვრება

საქ. ალკ აფხაზეთის XVI საოლქო კონფერენცია

(სოხუმი, „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)

სოხუმის სახელმწიფო თეატრში 23-24-25 სექტემბერს მიმდინარეობდა საქ. ალკ აფხაზეთის XVI საოლქო კონფერენცია.

კონფერენციამ საპატიო პრეზიდიუმში უდიდესი აღფრთოვანებით აირჩია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობა დიდი **სტალინის** მეთაურობით, და აგრეთვე ამხანაგები **კ. ჩარკვიანი, ვ. ბაქრაძე და ნ. მიხაილოვი.**

კონფერენციამ ხელმძღვანელი ორგანოების არჩევის შემდეგ ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგი: 1. საქ. ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ანგარიში, 2. სარევიზიო კომისიის ანგარიში, 3. საქ. ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, სარევიზიო კომისიის და საქ. ალკკ XV ყრილობის დელეგატების არჩევნები.

დღის წესრიგის პირველი საკითხის გარშემო მოხსენებით გამოვიდა საქ. ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ი. ტუსკაძე. ამხ. ტუსკაძემ დელეგატებს მოუთხრო იმ სერიოზულ მიღწევებზე, რომლებიც მზიური აფხაზეთის კომკავშირის ორგანიზაციებმა მოიპოვეს XVIII პარტყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა და ხალხთა გენიალური ბელადის დიდი **სტალინის** მიერ დასახულ ბრძნულ მითითებათა განუხრელად განხორციელებისათვის ბრძოლაში.

— საქ. ალკკ აფხაზეთის XV საოლქო კონფერენციიდან დღემდე თითქმის 2 წელიწადი გავიდა,—განაცხადა მომხსენებელმა,—ამ პერიოდში აფხაზეთის კომკავშირის ორგანიზაციამ ჩაატარა დიდი მუშაობა თავისი რიგების ზრდისათვის. 1 წლისა და 9 თვის განმავლობაში კომკავშირის რიგებში მიღებულ იქნა 5.051 ახალგაზრდა, ოლქში შეიქმნა 98 ახალი პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია, ამჟამად კი აფხაზეთის კომკავშირის ორგანიზაცია აერთიანებს 23.716 ახალგაზრდას, მათ შორის 8 ათასზე მეტი ქალია.

წარმოებებში, კოლმეურნეობებში კომკავშირელები იძლევიან შრომისადმი დამოკიდებულების საუკეთესო ნიმუშებს. საქმით ეხმარებიან პარტიულ ორგანიზაციებს შრომის რკინისებური დისციპლინის დამყარებისათვის ბრძოლაში. საანგარიშო პერიოდში კომკავშირულ, სამეურნეო და საბჭოთა ხელმძღვანელ სამუშაოზე დაწინაურებულია 1.350 ნიჭიერი და უნარიანი კომკავშირელი, რომლებიც თავიანთი პრაქტიკული მუშაობით ამართლებენ პარტიისა და მთავრობის ნდობას.

მომხსენებელი კონფერენციის ყურადღებას ამახვილებს კომკავშირელ და კავშირგარეშე მყოფ ახალგაზრდათა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდის საკითხებზე. ის ამბობს, რომ 7.000 კომკავშირელი და კავშირგარეშე ახალგაზრდა დამოუკიდებლად სწავლობს ჩვენი პარტიის გმირულ ისტორიას, წარმატებით ეუფლება მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრებას.

შემდეგ ამხ. ტუსკაძე ლაპარაკობს იმ კომკავშირელებზე, რომლებმაც როგორც კოლმეურნეობებში, ისე საწარმოებსა და ტყეკარჩელის მაღაროებში გვიჩვენეს შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის ბრძოლის საუკეთესო ნიმუშები, პირადი მაგალითით გვიჩვენეს დაუღალავი ბრძოლა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულებათა ცხოვრებაში გატარებისათვის; აქტიური დახმარება გაუწიეს პარტორგანიზაციებს და საწარმოთა ხელმძღვანელებს. ამხ. ტუსკაძემ დაასახელა შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის ბრძოლის ოსტატი კომკავშირელები: ე. ვორონინი, კვეკვესკირი, მაღანია, მამონტოვი და სხვ., რომლებმაც საკმაო სახელი გაითქვეს სტახანოვური შრომით.

ამხ. ტუსკაძე ლაპარაკობს აგრეთვე იმ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ამჟამად აქვს აფხაზეთის კომკავშირის ორგანიზაციას. მას მოჰყავს მაგალითები იმისა, რომ ჯერ კიდევ ბევრმა კომკავშირის ორგანიზაციამ ვერ გარდაქმნა მუშაობა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. კომკავშირის ზოგიერთი ორგანიზაცია ცუდად ეხმარება პარტორგანიზაციას 26 ივნისის ბრძანებულებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. ზოგან კომკავშირლები თვით გვევლინებიან შრომის დეზორგანიზატორებად, კომკავშირის რაიკომები სუსტად ხელმძღვანელობენ პირველადს ორგანიზაციებს და სხვა. ამ ნაკლოვანებათა დროზე გამოსწორება აფხაზეთის კომკავშირის საბრძოლო ამოცანაა. ჩვენ ამას მივალწევთ პარტიული ორგანიზაციების მტკიცე და ბოლშევიკური ხელმძღვანელობით — დაამბოლოვა თავისი სიტყვა მომხსენებელმა.

მეორე საკითხზე კონფერენცია ისმენს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ტარბას მოხსენებას, რის შემდეგ იწყება კამათი ორივე მოხსენებათა გამო.

კამათში მონაწილეობა მიიღო 32 კაცმა. მათ ბოლშევიკური კრიტიკის ჭარცეცხლში გაატარეს აფხაზეთის კომკავშირის საოლქო კომიტეტის მუშაობა და წამოაყენეს უაღრესად საქმიანი წინადადებანი შემდგომი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

დასრულდა კამათი. კონფერენციამ ამხ. ტუსკაძის საბოლოო სიტყვის შემდეგ საქ. ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მუშაობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად და დაამტკიცა სარევიზიო კომისიის მოხსენება. კონფერენციამ აგრეთვე დაახა სათანადო ღონისძიებანი მომავალი მუშაობისათვის.

დელეგატებმა უდიდესი აღფრთოვანებითა და მქუხარე ტაშის გრიალით მიიღეს მისალმება ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი **სტალინისადმი**, სტალინის საუკეთესო თანამებრძოლის ამხანაგ **ლ. ბერიასადმი** და აგრეთვე ამხანაგ **კ. ჩარკვიანისადმი.**

კონფერენციამ დახურული (ფარული) კენჭისყრით აირჩია საქ. ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტი 49 წევრისა და 15 კანდიდატის შემადგენლობით. სარევიზიო კომისიაში—11 კაცი, ხოლო საქ. ალკკ XV ყრილობის დელეგატებად 59 კაცი.

საქ. ალკკ ყრილობის პირველ დელეგატად ერთხმად არჩეულია ხალხთა ბელადი მშობლიური **სტალინი**, აგრეთვე დელეგატებად არჩეული არიან ამხანაგები: **ლ. ბერია, კ. ჩარკვიანი, ვ. ბაქრაძე, მ. ბარამია, ი. ტუსკაძე, ტ. კვეკვესკირი, ი. მამონტოვი, ც. ქარდავა, ტ. ანუბარდია** და სხვ.

25 სექტემბერს, დილას საქ. ალკკ აფხაზეთის XVI საოლქო კონფერენციამ დაამთავრა თავისი მუშაობა.

○

ამავე დღეს შესდგა საქ. ალკკ აფხაზეთის ახლად არჩეული საოლქო კომიტეტის პირველი პლენუმი. პლენუმმა საქ. ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნად ერთხმად აირჩია ამხ. **ი. ტუსკაძე**, მეორე მდივნად ამხ. **ვ. სიჭინავა.**

საქ. ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ამხ. **მ. ჯვაში**, საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. **მ. ბარამია**, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. **კ. ჰაჩინაძე** და საქ. ალკკ ც. კ-ის მდივანი ამხ. **გ. იმნაიშვილი.**

აგიტვაგონი საკოლმეურნეო ბრიგადაში

(ლანჩხუთი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

მამათის ლ. პ. ბერიას სახელობის მილიონერი კოლმეურნეობის ბრიგადებში 25-მდე აგიტატორი და წამკითხველია. მათი უმრავლესობა კარგად მუშაობს და აგიტატორის მოვალეობას პირნათლად და კეთილსინდისიერად ასრულებს. აგიტატორი პ. ლომაძე აგიტაციას ყოველდღიურად ატარებს. იგი როდი კმაყოფილდება გაზეთებში მოთავსებული წერილებით და სტატიების წაკითხვით. კოლმეურნეებს ესაუბრება კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანების გამოცდილებაზე, რგოლის მუშაობის ცალკეულ ფაქტებზე. იგი ყოველთვის შზად არის ახსნა-განმარტება მისცეს კოლმეურნეებს მათთვის საინტერესო საკითხებზე. ამიტომაა, რომ კოლმეურნეები აგიტატორ ლომაძის საუბრებით კმაყოფილი არიან. მეცხრე ბრიგადა, რომელშიც პ. ლომაძე მუშაობს, გეგმას ხარისხობრივი მაჩვენებლების დაცვით ასრულებს. ასევე კარგად მუშაობენ აგიტატორები ქ. მშვიდობაძე, შ. ღლონტი და ნ. მშვიდობაძე.

მაგრამ ამ კოლმეურნეობაში ყველა აგიტატორი როდი ასრულებს მოვალეობას კეთილსინდისიერად. ივ. მალაზონია, რომელიც მეთორმეტე ბრიგადაში მუშაობდა აგიტატორად, იშვიათად მიდიოდა საagიტაციო უბანში. მისი საუბრები საზეიმო ხასიათს ატარებდა. ახლა მან საagიტაციო უბანი მიატოვა პარტიული ორგანიზაციის დაუკითხავად, მაგრამ პარტორგანიზაციას ამ უქნარა აგიტატორზე ჯერ-ჯერობით მსჯელობა არ ჰქონია. მეშვიდე ბრიგადაში მომუშავე აგიტატორი ს. ჯილაძე საუბრებს სისტემატურად არ ატარებს, არ ესაუბრება კოლმეურნეებს მათს გამოცდილებაზე. სწორედ ამიტომაა, რომ ბრიგადაში გეგმების შესრულებისათვის სუსტად იბრძვიან. ბრიგადამ ვერ შეასრულა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის თვიური გეგმები, მოკრეფილი ჩაის ცუდი ხარისხისაა. აგიტატორს ამის შესახებ კრინტიც არ დაუძრავს. აგიტატორს უნდა გამოეყენებინა ეს ფაქტი და დაეორაზმა კოლმეურნეები გეგმის შესასრულებლად.

აგიტატორების კარგი მუშაობა, მათი მიერ მიმზიდველი საუბრების ჩატარება დიდად არის დამოკიდებული აგიტკოლექტივის ხელმძღვანელობაზე. მაშათში აგიტკოლექტივის ხელმძღვანელად ამხ. ა. შეკარდაძეა. იგი გამოცდილი აგიტატორია. მისი საუბრები მიმზიდველია და მაგალითის მიმცემი თვითეული აგიტატორისათვის, მაგრამ იგი ნაკლებ ყურადღებას უთმობს ადგილობრივი ფაქტების გაშუქებას, რომლებიც ყველაზე უფრო ახლოა თვითეული აგიტატორისა და კოლმეურნისათვის. აგიტკოლექტივის ხელმძღვანელმა აგიტატორებს უნდა ასწავლოს, რომ ყოველი საკითხი დაუკავშირონ პრაქტიკულ სამუშაოების შესრულებისათვის ბრძოლას.

მუშაობის კარგ მაგალითს იძლევა აგრეთვე კიროვის კოლმეურნეობაში აგიტატორი ლ. ანთაძე. იგი საუბრებით როდი კმაყოფილდება, ყოველ ხუთდღეში უშვებს საბრიგადო გაზეთს და ამხელს ცრუ და წამგლეჯ კოლმეურნეებს.

მაგრამ რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობებში საagიტაციო მუშაობა ძლიერ სუსტია. მაგალითად, ზემო შუხუთის კოლმეურნეობის ბრიგადას აგიტატორი არ ჰყავს, რის შესახებაც არავის უმსჯელია. სუსტია საagიტაციო მუშაობა ქვემო აკეთის კოლმეურნეობაშიც.

საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ საკოლმეურნეო ბრიგადებში არსებითად გაუმჯობესდეს ბოლშევიკური აგიტაცია.

ვ. მექვაბიშვილი

გ. ი. ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის მარქსიზმ - ლენინიზმის კაბინეტის კონსულტანტი ამხ. რამიშვილი (მარჯვნივ) სტუდენტებს უწევს კონსულტაციას საკ. კ. პ. (ბ) ისტორიაში.
ფოტო ბუდეშტსკისა (საქდესის ფოტოკორონიკა).

საოპერო თეატრის ახალი სეზონი

28 სექტემბერს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი ხსნის თავის მორიგ სეზონს. დაიდგმება ზ. ფალიაშვილის უკვდავი ოპერა „აბესალომ და ეთერი“.

მომავალი სეზონი ფრიად საპასუხისმგებლო იქნება საოპერო თეატრისათვის: გასული წლების მანძილზე ახალი ქართული ოპერების შესაქმნელად წარმოებულმა გეგმაშეწონილმა მუშაობამ თავისი ნაყოფი გამოიღო და ქართული ოპერების არსებულ ფონდს ოთხი ახალი ნაწარმოები შეემატა: აკ. ანდრიაშვილის „კაკო ყაჭაღი“, გ. კილაძის „ლადო კეცხოველი“, ი. ტუსკიას „სამშობლო“ და ა. ბალანჩივაძის „ბედნიერება“. ოთხივე ამ ოპერის დადგმა განზრახულია მომავალ სეზონში. ამას ემატება კიდევ ა. ბალანჩივაძის ახალი ქართული ბალეტი „მთების გული“.

რუსული და ევროპული ოპერებიდან ახალი დადგმით ნაჩვენები იქნება შ. ჰუნოს „ფაუსტი“ და გლაზუნოვის ბალეტი „ოაიმონდა“, რომელიც დიდიხანია თბილისში არ დადგმულა. ახალ დადგმათა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე „ევგენი ონეგინი“, რომელიც პ. ჩაიკოვსკის იუბილესათვის მომზადდა და მხოლოდ რამდენჯერმე დაიდგა გასული სეზონის ბოლოს.

ახალ დადგმებთან ერთად წელს დიდი ყურადღება მიექცევა ძველი ოპერების აღდგენის ხარისხს, სხვა ცნობილ ოპერებთან ერთად რეპერტუარში შეტანილია კ. სენ-სანსის „სამსონი და დალილა“ ახერხაიანის სსრ სახალხო არტისტ ფატმა მუხტაროვას მონაწილეობით. მისივე მონაწილეობით დაიდგმება „კარმენი“ და „აიდა“.

ფ. მუხტაროვას გარდა, გასტროლებზე ჩამოვა რსფსრ სახალხო არტისტი ნ. პეჩკოვსკი. მისი მონაწილეობით — „პიკის ქალი“.

თბილისის სახელმწიფო თეატრი შეივსება ახალი ძალებით. დამთავრა ჩაირიცხულია დრამატიული ტენორი ნ. ბელაძეული, რომელიც უკანასკნელად ვორონეჟის გარნიზონში მღეროდა, და ახალგაზრდა ა. ჩალადიდი (ლირიკული ტენორი), რომელიც წელს დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორია. მისი პირველი გამოსვლა მოხდება „ევგენი ონეგინში“, სადაც ის ლენსკის პარტიას შეასრულებს.

ახალი ძალა შეემატა თეატრის რეჟისურასაც. ეს არის მ. კვალაშვილი, რომელიც მთელი რიგი წლების მანძილზე მოსკოვის დიდ თეატრში შუშაობდა.

სეზონის პირველი ახალი დადგმა იქნება ა. ანდრიაშვილის „კაკო ყაჭაღი“, რომელსაც ამზადებს რეჟისორი გ. ჟურული (მხატვარი—პროფ. ვ. სიდამონ-ერისთავი, დირიჟორი—ო. დიმიტრიადი). პრემიერა წავა ოქტომბრის პირველ რიცხვებში.

პარალელურად მზადდება ა. ბალანჩივაძის ბალეტი „მთების გული“, დადგმა ბალეტმეისტერ ს. სერგეევისა. მხატვრული გაფორმება ხელ. დამს. მოღვაწე — ი. გამრეკელისა, დირიჟორი ო. დიმიტრიადი.

დაწყებულია მოსამზადებელი მუშაობა „ლადო კეცხოველის“ და „სამშობლოს“ დადგმისათვის. „ლადო კეცხოველის“ სცენებს მოიწყობენ დამს. მოღვაწე შ. აღსაბაძე, მხატვარი ხელ. დამს. მოღვაწე ი. გამრეკელი. ოპერას დირიჟორობს შ. აზმაიფარაშვილი. „სამშობლოს“ სცენებს თეატრის მთავარი რეჟისორი, რესპ. სახ. არტ. ა. წუწუნავა, მხატვარი ვ. სიდამონ-ერისთავი, დირიჟორი შ. აზმაიფარაშვილი.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის აქტივის კრება

ამ დღეებში ჩატარდა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის თბილისის საქალაქო აქტივის კრება კავშირის საოლქო და რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეებისა და ცენტრალური გამგეობის პლენუმის წევრ-კანდიდატებთან ერთად.

კრებამ განიხილა საკითხი პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს X პლენუმისა და კავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის შედეგების შესახებ. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ი. ბურჭულაძე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს X პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ბეჭდვის პროფკავშირულმა ორგანიზაციამ ჯერ კიდევ ვერ მოახერხა მუშაობის ახლებურად გარდაქმნა. აფხაზეთის სამომხმარებლო კოოპერაციის პროფკავშირთა საოლქო კომიტეტმა დაავიწყა შტატების შემცირება. საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე ი. კასაბინს დიდხანს არ აქვს ამის უნარი, თქვენ თვითონ უნდა დაეხმაროთ მას.

ხშირად ასეთი დახმარების გაწევა შესაძლოა პირდაპირი რჩევით, ხანდახან ხუმრობით, ხანდახან განკარგულებით, ხანდახან კი ბრძანებითაც. თუ თქვენ იცნობთ თქვენი ბავშვის ცხოვრებას, თვითონვე დაინახავთ, თუ როგორ მოიქცეთ უმჯობესად. ხშირად ხდება, რომ დახმარება უნდა გაუწიოთ განსაკუთრებული წესით. ან მონაწილეობა უნდა მიიღოთ ბავშვთა თამაშში, ან უნდა გაეცნოთ ბავშვთა ამხანაგებს, ან უნდა მიხვიდეთ სკოლაში და მოელაპარაკოთ მასწავლებელს. თუ თქვენს ოჯახში რამდენიმე ბავშვია, და ეს კი უაღრესად ბედნიერი შემთხვევაა, ასეთი დახმარების საქმეში უნდა ჩაბათ უფროსი ძმები და დები.

მშობელთა დახმარება არ უნდა იყოს ძალდატანებითი, მომაბეზრებელი, მომქანცავი. ზოგიერთ შემთხვევებში ბავშვს სრული ნება უნდა მისცეთ თვითონვე დაიწროს თავი სიძნელეს, საჭიროა რომ იგი მიეჩვიოს დაბრკოლების გადალახვას და უფრო რთული საკითხების გადაჭრას. მაგრამ ყოველთვის უნდა ხედავდეთ თუ როგორ აკეთებს ბავშვი ამ ოპერაციას, არ უნდა დაუშვათ რომ იგი დაიბნეს და სასოწარკვეთილებაში ჩავარდეს. ზოგჯერ საჭიროა, რომ ბავშვი ხედავდეს თქვენს სიფრთხილეს, თქვენს ყურადღებას, მისი ძალებისადმი თქვენს ნდობას.

დახმარების, ფრთხილი და ყურადღებითი ხელმძღვანელობის ავტორიტეტი ცოდნის ავტორიტეტის საუცხოო დამატებაა. ბავშვი იგრძნობს თქვენს სიახლოვეს თავის გვერდით, თქვენს გონივრულ ზრუნვას მასზე, თქვენს იმედს, მაგრამ იმავე დროს მას ეცოდინება, რომ თქვენ მისგან ზოგ რამეს მოითხოვთ, რომ თქვენ კი არ აპირებთ მის მაგიერ ყველაფრის გაკეთებას, მისგან პასუხისმგებლობის მოხსნას.

სწორედ პასუხისმგებლობის ხაზი წარმოადგენს მშობელთა ავტორიტეტის შემდგომ მნიშვნელოვან ხაზს. ბავშვი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ფიქრობდეს, რომ ოჯახისა და პირადად მის მიმართ თქვენი ხელმძღვანელობა წარმოადგენს თქვენს სასიამოვნო ან გასართობ საქმეს. მან უნდა იცოდეს, რომ თქვენ საბჭოთა საზოგადოების წინაშე პასუხს აგებთ არა მარტო თავისთვის, არამედ მისთვისაც. არ უნდა გეშინოდეთ აშკარად და მტკიცედ უთხრათ ვაჟს ან ქალიშვილს რომ ისინი იზოლებიან, რომ მათ ჯერ კიდევ ბევრი უნდა ისწავლონ, რომ ისინი უნდა აღიზარდონ კარგ მოქალაქეებად და კარგ ადამიანებად, რომ მშობლები პასუხს აგებენ ამ მიზნის მიღწევისათვის, რომ მათ არ ეშინიათ ამ პასუხისმგებლობისა. პასუხისმგებლობის ამ ხაზზეა არა მარტო დახმარების, არამედ აგრეთვე მოთხოვნის საწყისები. ზოგიერთ შემთხვევაში ეს მოთხოვნა უნდა გამოიხატოს უაღრესად მკაცრი ფორმით, გარეშე ყოველგვარი წინააღმდეგობისა. სხვათაშორის, უნდა ითქვას, რომ ასეთი მოთხოვნა მხოლოდ სარგებლობას მოიტანს, უკეთუ ბავშვის წარმოდგენაში უკვე შექმნილია პასუხისმგებლობის ავტორიტეტი. ბავშვი სულ მცირე ასაკშიაც უნდა გრძნობდეს, რომ მისი მშობლები მასთან ერთად როდი ცხოვრობენ უკაცურ კუნძულზე.

ვამთავრებ რა ჩვენს საუბარს, მოკლედ დავასკვნით:

ავტორიტეტი ოჯახში საჭიროა.

უნდა განვასხვავოთ ნამდვილი ავტორიტეტი ყალბი ავტორიტეტისაგან, რომელიც ემყარება ხელოვნურ პრინციპებს და ცდილობს ყოველგვარი საშუალებით შექმნას მორჩილება.

ნამდვილი ავტორიტეტი ემყარება თქვენს მოქალაქეობრივ მოვალეობას, თქვენს მოქალაქეობრივ გრძნობას, თქვენს მიერ ბავშვის ცხოვრების ცოდნას, მისდამი თქვენს დახმარებას და მისი აღზრდისათვის თქვენს პასუხისმგებლობას.

„იზვესტია“, 19 სექტემბერი.

საქ. კ. პ. (ბ) ზემო-სვანეთის რაიკომის პლენუმი

ამ დღეებში ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) ზემო-სვანეთის რაიკომის მორიგი პლენუმი. პლენუმმა განიხილა ორი საკითხი: ცანის სამთო-მეტალურგიული კომბინატის მშენებლობაში და ტყემარწვმეურნეობაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ და მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 1 სექტემბრამდე რაიონულ პარტიულ ორგანიზაციაში პარტიაში მიღების ხაზით ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ.

პირველი საკითხის გარშემო მოხსენებით გამოვიდნენ ცანის სამთო-მეტალურგიული კომბინატის მშენებლობის უფროსი ამხ. ბ. გუჯეჯიანი და ხაიშის ტყემარწვმეურნეობის დირექტორი ამხ. ლ. შამფრიანი. ორივე მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 8 ამხანაგმა.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე პლენუმმა მოისმინა საქ. კ. პ. (ბ) ზემო-სვანეთის რაიკომის მდივნის ამხ. მ. ფალიანის მოხსენება. რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ ამ ხნის განმავლობაში სერიოზული მუშაობა ჩაატარა პარტიაში მიღების ხაზით.

პლენუმმა ორივე საკითხზე მიიღო სათანადო ღონისძიებანი.

ბ. ქოგალია

დაიწყო მდ. ცხენისწყლის ნაპირების გამაგრება

(გეგეჭკორი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

გეგეჭკორის რაიონის სოფ. ხუნწის, ლეხაინდრაოს, ნაგვაზაოს და ნაჯახაოს კოლმეურნეობათა ნათესებს, აგრეთვე წულუკიძის რაიონის მთელ რიგ სოფლებს ყოველწლიურად დიდ ზიანს აყენებს მდინარე ცხენისწყალი. ეს იმის შედეგია რომ მდინარის ნაპირები გაუმაგრებელია, წყალი გამლილად მიედინება დიდ ფართობზე.

აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად ამ დღეებში სამუშაოზე ორგანიზებულად გამოცხადნენ გეგეჭკორის რაიონის ზემოდ დასახლებულ კოლმეურნეობათა წევრები. პირველ დღეს სამუშაოზე გამოცხადდა 1500 კაცი, მეორე დღეს კი — 2.000 კაცზე მეტი.

ამავე დროს რაიონში დაიწყო სოფ. ვედიდკარის მახათის ჭაობიანი ნიადაგების ამოშრობა. ეს ღონისძიება მოგვცემს 800 ჰექტარ ფართობს ჩაისა და სხვა კულტურების გასაშენებლად. ჭაობის ამოშრობაზე ყოველდღიურად მუშაობს 800 კაცი. მუშაობის საუკეთესო მაჩვენებლებს იძლევიან სოფ. ზედათის კაგანოვიჩის სახელობის და ამავე სოფლის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობათა წევრები, რომლებმაც დავალება 40 პროცენტამდე შეასრულეს.

აქ ასევე მოწინავეა ბებედათის კოლმეურნეობა „შრომის სამეფო“, სოფ. ჯოლევის გეგეჭკორის სახელობის და სოფ. სერგიეთის კოლმეურნეობა „მნათობი“.

სამუშაო ადგილებზე მოწყობილია სასადილო, სავაჭრო წერტილები, დასასვენებელი ბინები, ხშირად უჩვენებენ კინოს, იმართება კონცერტები.

მუშაობა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს და უთუოდ მალე დამთავრდება.

სპ. ბართია

ՀԱՅԿԱՅԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ՍՈՑԻԱԼԻՍՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԿԱՌԱՎԱՐՈՒԹՅԱՆ ՏԵՂԵԿԱԳԻՐ

**ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ